№ 12 18 იანვარი, ოთხშაბათი 1866—1878 18 იანვარი, ოთხშაბათი № 12

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლში, № 8.

ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლებში, № 8.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲣᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

# ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით ცტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის სიცეოოთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1878 ᲬᲔᲚᲡ ᲣᲚᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲒᲐᲛᲝᲦᲓᲘᲡ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲦᲔᲛᲓᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲦᲓᲘᲝᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. Амираговის სახლებში).

ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . . . | 8 მან. | „ | კაპ. |
| ექვსის თვისა . . . . . | 4 „ | 50 | „ |
| ოთხის თვისა . . . . . | 3 „ | „ | „ |

ᲣᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲡᲘ თხოვნა ხელის-მოწერილებსა და აგენტებს: ᲮᲕᲔᲓᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ-ᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ; თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უფულოთ გაზეთს არავის არ გაუგზავნის.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

### ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოს“)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 15 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. რუსეთის ელჩმა გრაფ შუვალოვმა წარუდგინა ინგლისის უცხო ქვეყნის მინისტრს რუსეთის პირობები მორიგებისა, რომელნიც, გაზეთის „Morning Post“-ის სიტყვით, მდგომარეობს შემდეგში:

1) ავტონომია ბოლგარიისა და ქრისტიანებთაგან ღუბერნატორის დანიშვნა;

2) ზომიერთ ალაგებიდან ოსმალოს ჯარების წაყვანა;

3) დამოუკიდებლობა რუმინიისა და დაჯილდოება იმისი ბესარაბიის რუსეთთან შეერთების გამო; დამოუკიდებლობა სერბიისა და იმის სამზღვრების გასწორება;

4) ადგილობრივი ავტონომია ბოსნიისა და ჰერცოგოვინისა და გაფართოება ჩერნოგორიის სამზღვრებისა;

5) ოსმალეთმა რუსეთს ბათუმი უნდა დაუთმოს, და უნდა მისცეს კონტრიბუცია (ომის ხარჯი); სულთანი ვალდებულია დარდანელის წყალში ხომალდების სიარულის თაობაზე რუსეთის ინტერესები ღაიცვას.

## ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

არზრუმელი კორრესპონდენტი გაზეთს „Daily News“-ისა ასე აგვიწერს არზრუმის მდგომარეობას:

„ᲪᲣᲓᲣᲚ მდგომარეობაში არიან ამ ჟამად არზრუმის მცხოვრებლები. მუხთარ-ფაშის მოადგილე—ქურთი იზმაილ-ფაშა, როგორც ეტყობა, სრულებით სამხედრო კაცი არ არის; ამბობენ, რომ ის დღე და ღამე ლოცვისა და ყურანის კითხვის მეტს არას აკეთებსო.

„მთელი ქალაქი წარმოადგენს ერთს დიდს საავათმყოფოს; სახადის, შიმშილისა და სიცივის გამო, ხალხი მეტი აღარ შეიძლება ისე შ ეწუხებულია. დაფქვილი პური იანვრის დამდეგამდინ თუ ეყოფათ, იმდენი აქვთ კიდევ; მაგრამ დაუფქველი პური კი სამი-ოთხი თვის სამყოფი აქვთ. ᲧᲔᲚᲐ წისქვილები რუსების ხელშია.“

—

მეორე ინგლისური გაზეთის „Daily Telegraph“-ის კორრესპონდენტი კი თითქმის სრულიად ამის წინააღმდეგ ამბავს იწერება ამავე საგანზე:

„არზრუმი სრულიად დამშვიდებულია ამ ჟამად. მეფუქნეებმა გაალეს თავის დუქნები და ეაჭრობა და ცხოვრება თავის ჩვეულებრივის წესით დაიწყო.

„საჭმელ-სასმელიც იმდენი აქვთ ჯერჯერობით არზრუმში, რომ გაზაფხულამდინ კარგათ ეყოფათ, თუ რუსებმა მანამ არ აიღეს როგორმე ეს ქალაქი. ხორცი ბლომათ აქვთ და იაფათაც იყიდება, რადგან ᲧᲐᲠᲡᲘᲡ ფაშალიყიდამ და ახლო-მახლო სოფლებიდან რაც საქონელი იყო, სულ აქ შემორეკეს.

„არზრუმის გარნიზონი 15,000 კაცისაგან შესდგება; ამას გარდა მცხოვრებლებისაგან შემდგარა მილიცია, რომელიც ძალიან თავ-გამოდებულია ქალაქის დაცვისათვის.

„მხოლოთ ერთი რამ გვაწუხებს—უმუშაობა და სიცივე; შეშის მაგიერ გამხმარ სასუქს ეხმაროობთ, რომლისაგან ისეთი ბოლი და ᲧᲧრალი სუნი დგება სახლებში, რომ შეუჩვეველ კაცს ძალიან აწუხებს.“

—

რუსული გაზეთის „ახალი დროების“ კორრესპონდენტი იწერება ჰასსან-ᲧᲐᲚᲔᲓᲐᲜ, რომ გირვანქა შაქარი აქ 2 მანეთად იყიდებაო, ასი პაპიროზი 2 მან. და 50 კაპ., გირვანქა ჩაი 5 მანეთად. ამ სიძვირისა და სხვა-და-სხვა ავათმყოფისაგან აქ დაყენებული ჩვენი ჯარები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილიო.

—

თფილისელი კორრესპონდენტი გაზეთის „Politische Correspondenz“-ისა შემდეგ ამბავს გვაცნობებს:

„აქ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ შემდგარი კომისია დაᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ სომხეთის გამგეობის წესდების შესადგენელად. ᲐᲛ კომისიამ შეადგინა თავის პროექტი, რომელიც ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ნამესტნიკმაც მოიწონა. ამის პროექტის ძალით, დაᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ მხარე, რომელიც 611,000 მამობრივ სქესის სულს შეიცავს, ორ გუბერნიათ და 6 მაზრათ უნდა იქნეს გაყოფილი; უმთავრესი ქალაქები არიან: ჩილდირი, ბაიაზეთი, ᲕᲐᲜᲘ, ᲨᲣᲨᲘ, ᲔᲠᲖᲘᲜᲯᲘᲐᲜᲘ და ᲧᲐᲠᲡᲘ. ᲐᲛ მხარეში ითვლება: სომხები—180,000 მამაკაცი, ქურთები—207,000, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲑᲘ—190,000, დანარჩენი ხალხები—30,000. სულ მცხოვრებლები არიან—1,222,488 სული.

„ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲰᲐᲖᲠᲘᲗ, ამ მაზრაში საჭირო იქნება 12—15 ათასი კაცის ჯარის დაყენება. შემოსავალი ხაზინას იმდენი ექნება, რომ უკანასკნელი სამი მილიონით გადაამეტებს გასავალს.“

### ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲜ

„მოსკოვის ᲬᲧᲔᲑᲔᲑᲨᲘ“ სწერენ ბერლინიდან 10 იანვარს:

„აქ დარწმუნებული არიან, რომ ავსტრია არაფერს იტყვის, თუ რუსეთმა დაი-

ჭერა სტამბოლი და რომ ინგლისს არ შეუძლია მოასწროს რუსებს სტამბოლის დაჭერა.“

—

„ვოლფის სააგენტოში“ იწერებიან 11 იანვარს სტამბოლიდამ:

„მორიგების თაობაზე არის ამჟამად მოლაპარაკება უზანლიუში. თუ ამ მოლაპარაკებამ ფუჭათ ჩაიარა, პორტა მიიღებს ყველა გვარ საშუალებას სტამბოლის დასაცველათ. ოსმალოს მმართველობა სთხოვს ხალხს, რომ მშვიდობიანათ იყოს და ნუ შეწუხდება ტყუილათ გავრცელებული ამბებით. ამ ტყუილი ხმების გამავრცელებელნი მიეცემიან სამხედრო სამართალში.“

—

ვენის გაზეთში „პოლიტიკურ კორრესპონდენც.“-ში სწერია, რომ 300.000 კაცამდინ მისულა სტამბოლში ფილიპოპოლის და ადრიანოპოლის ვილაიეტებიდამ.

—

ლონდონიდამ იწერებიან „ჰავასის საგენტოში“ 9 იანვარს, რომ დღევანდელს ინგლისის სამინისტრო კრებაში სხვათა შორის წაიკითხეს წერილი ადრინდელი მინისტრის ლორ რომელიც იყო მინისტრათ ბლადსტონის კაბინეტში. ის ამბობს, რომ სტამბოლის დაჭერა რუსებისგან არაფერს დაუშლის ინგლისის ვაჭრობას და არც ინდოეთისთვის იქნება საშიშო, და ამიტომ ის წინააღმდეგია ომის გამოცხადებისა, კიდეც რომ მართლა რუსეთმა დაიჭიროს სტამბოლი.

# საქართველო

## ღღიური

*** რუსულ გაზეთს „ახალ დროებაში“ დაბეჭდილია:

„მიცვალებული არხიეპისკოპოსის ალექსის მაგივრად ტკერში დანიშნა საქართველოს ექსარხოსი მესევი. ამის ადგილზე საქართველოს ექსარხოსად დანიშნეს ნიჟეგოროდის არხიეპისკოპოსი ყოვლად-სამღვდელო იოანნიკი.“

ერთს რუსულ სასულიერო ჟურნალში იწერებიან, რომ ყოვლად სამღვდელო იოანნიკი განათლებული და გონიერი პირი არისო.

*** რაყის მცხოვრებლები სჩივიან, რომ ჩვენკენ ისეთ ნაირად არის გზები გაფუჭებულიო, რომ ცხვირ-პირ დაუმტვრეველად სიარული არ შეიძლებაო, თუ ძალიან ფრთხილად არ იქნა კაცი.

*** ალექსანდრაპოლიდამ გვწერენ, რომ აქ და ყარსში, სხვათა შორის, ამ ჟამად საშინლად არის გავრცელებული ხალხში ქუთეშაო და ბევრი ყმაწვილი და დიდებიც იმსხვერპლაო.

*** 14 იანვარს, წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ქართულად სწირა სიონში და ამ დღეს პირველად იყო იქ ქართულს ნოტებზე დაწყობილი გალობა. ხალხს ძლიერ მოეწონა ეს ქართული გალობა.

აქ საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ზემოხსენებულმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 500 მანეთი შესწირა ქართული საეკლესიო გალობის ნოტებზე დასაწყობად.

*** ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში შემდეგი წერილი დ. ხონიდამ:

„ამ თვის 10-ს დილის მესამე საათზე გაუჩნდა ჩვენი ადრინდელი საქალებო უფასო შკოლის შენობას ცეცხლი და ალმა შთანთქა ის სახლი, რომელიც საზოგადოებას დაუჯდა ექვსი ათას მანეთამდე.

„ველაზე უფრო ერთმა გარემოებამ გამაკვირვა ამ ცეცხლის დროს: ხალხი ბლომათ მოაგროვა ზარის რეკამ; მაგრამ რა! ველამ ისრე გულ-გრილათ დაუწყო ცქერა ამ საზარელ სურათს, თითქო რაღაც სიამოვნების გამომეტყველება იხატებოდა მათს სახეზედ, და თან გაიძახოდენ: „—წავიდეთ შინ, დაიწვა!; ჩვენი ურგები ქოთანი ქვას და შეეპამადი ძაღლსო. ეს შკოლა ჩვენთვის ძაშინ დაიწვა და დაიკარგა, როდესაც ჩვენი შვილები დაითხოვეს ძანდედამო“...

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

ქიზიყი, ქრისტიშობისთვის 11-ს. უკაცრავათ ვარ, რომ ამთენი ხანი ერთი ქაღალდი ვერ მოგწერე, ბატონო მესტამბე; მარა რა ვქნა! სულგძელი ბძანდები და მოშიტევე, შენი კვნესამე! სამჯერ-ოთხჯერ დავაპირე ქაღალდი გამომეგზავნა, მარა ხო იცი, გლეხ-კაცობის ანბავი, ათასი თავში საცემი საქმე გამომივარდა; ხან მოჯამაგირეთ ვიდექი სხვის ვალებში, თხებს უელიდი, ხან ბეგარაზე დამიძახეს, ხან ჩემი საცოდავი ცოლ-შვილისთვინ დავდიოდი ქირაზე, ხან რა, ხან რა და მისთვინ ვერ მოვიცალე.

ახლა, ჩემო ხემწიფე და ხვანთქარო, პრისუსტიაში ვარ, სუდია-მამასახლისების კანცელარიაში გზირათ და ტოროქათაც და საქმეები იგრე რიგათ აღარა მაქუ. ამასში ერთხელ თუ ვინმეს დავარბევთ; როცა ბძანება მუა და გირავებს წავართმევთ, თორენ ეყრიერართ ჩვენთვის, საცა დუქან დავინახავთ, რომ იქნება ვინმემ ერთი არაყი დაგვალევინოს, როცა საქმის გასაკეთებლად მუა.

ახლა იმაზე უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა ჩვენყენ, ქიზიყის მხარეში, ახალი მოხელეების ამორჩევას შეუდგენენ. ნიჩალიკი დაბძანდება სოფლებში და ძველები სუ უნდა დაცვალონ. ახალი წელიწადი რო მოახლოვდა, გონია მითვინ ირჩევენ ახალ მოხელეებს, რომ ახალწელიწადს ახალი მოხელეები დაახვედრონ. როგორც ე წელიწადი დაძველდა და დაბერდა ისე დაძველებული და დაბერებული გონიათ ჩვენი მოხელეებიც...

ხალხითვინ, ქონდეს ხვთის წყალობა, ძიელ სასიამოვნო საქმეა ეს საქმე, მარა მამასახლისებსა კი ვერაფრათ იამათ, წორე უნდა გითხრათ, ასე უდროოთ გადაყენება. ჯერ ყველი არ შესრულებიათ; სამი წლის ნაცვლად ორ-ორი წელიწადიც არ არიან და დაბეთ როგორ ულალატათ ბედმა! - ბედნიერება ურმი თვალივით დადისო, იგრე ძალე შეიცვლება, როგორც ურმი თვალი ჩქარა გადაბრუნდებაო, წორეთ ეხლანდელ მამასახლისებზე მოვიდა ე ქართული თქმა. ხუმრობა საქმეა, ბატონო, ზოგმა ქვიტკირის ატაჟები გამოიწყო, ზოგმა ყულაბები გაიჩინა, ზოგმა რა, ზოგმა რა, იმედი ქონდათ თავის საქმეს დაიმჯობინებდენ ყველის შესრულებამდი და დახე რა უბედურება გამოუვარდათ!

ეხლა, ბატონო, დაიქონეს წაღები და დარბიან სოფელ-სოფელ, რომ კაი კაცი მიძებნონ. მარა ვინ არი და სად არი კაი კაცი! ველა გაცრუდა და გაფლიდა. ანგელოზი რო გვეგონოს, გაიხედავ და პირველ ტურათ და ეშმაკად გამოგეცხადება, დასწყევლოს ღმერთმან ამათი სახსენებელი! ბევლი გარედან არის ჭრელი და კაცი შიგნიდანაო, ხო მოგეხსენებათ! ზოგ ქთამები უყვარს, ზოგი მეგობრობას და ნათესაობას უყურებს, ზოგს მათუშკებზე უჭირავს თვალი და სამართალი ვისლა აგონდება! სამართლის ნუ კი გეშინია, მოსამართლის გეშინოდესო, რო იტყვიან, ტყუილი როდი ყოფილა! ახლა გაჩდა არაყიანობა, ღვინიანობა, პატიჯილობა, რომ იქნება მე ამომირჩიონ, იქნება მეო.

ეგეთი პურ-მარილით ამოირჩევენ ერთ სალახანა ვინმეს და დაგვაწვება კისერზედ. ძველები როგორც იყო მოსუქებულები მაინც გვყავდა, ეხლა მჭლე და გამხდარი ვინმე გამოგვიჩნდება და უნდა უყაროთ სასუქებელი.

— საითკენ არი სამართალი?—საითყენაც ჯიბე სქელია, რომელი მხარეც ღონიერია და შეძლებულია, ვისაც დაყვირება შეუძლია!..

— სად არის სასამართლო? -საცა ორი ბოთლი არაყი დგას. საჩივარი რო ქონდეს, ჯერ თვალით განიშნებენ, აი იქითყენ წავიდეთო, დუქანისაყენო. თუ ხრაკიანი არაყით ყელი ამოუძმარე, მაშინ იქნება მოქცეს იმედი, მარტო ლიტონი სიტყვა, თორენ საქმეს ხო აგრე ადვილათ როგორ გაგითავებენ!

ასე, ამნაირად მიდის ჩვენი საქმე. ძველი არ ვარგა; ახალი ამოვირჩიეთ,—აღარც ის ვარგა, ძველი ცუდი კაცი იყო, ახალი დავაყენეთ, ის უარესი გამოდგა...

მოსულიანთ ბეკენა

---

## წერილი რედაქტორთან

მოგეხსენებათ, ჩვენში ორჯერ მოდის კვირაში ფოჩტა—ოთხშაბათს და პარასკევით, რომელზედაც ძრიელ გულდამჭეარი ვართ; მაგრამ რა უნდა ვქნათ, უნდა დავემორჩილოთ ჩვენს ბედის-წერას, მეტი გზა არ არის.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ბოუთმენელის მოლოდინის შემდეგ ველირსებით ოთხშაბათის გათენებას და ფოჩტა არსად სჩანს, ეგეც იმ დროს, როდე-

საც ყოველი კაცის თვალ-ყური ფოჩტაზეა მიქცეული, თუ რას მოგვიტანს ახალს ბრძოლის ველიდამო.

ეს ამბავი გახლავს მის შემდეგ, რაც ძველი ფოჩტის სმოტრიტელი უ. მ—შვილი გამოგვიცვალეს და მის ნაცვლად ვიღაც ჩანჩურა მებატე რუსი გამოგვიგზავნეს, რომელიც ფოჩტის მიღების ღროს უკანასკნელი ორ საათს გაგვაჩერებს ხოლმე ერთი გაზეთის მისაღებათ.

Ე. ჩ—ლი

Დაბა ხონი, 11 Იანვარს

## წმ. ნინოს და იმის დღესასწაული 14 იანვარს საქართველოში

—

Დღევანდელი დღის დღესასწაული მოგვაგონებს ჩვენ იმ დღესა და იმ საუკუნესა, რომელიც პირველად იდღესასწაულა საქართველოს ხალხმა მეოთხე საუკუნის დასაწყისში, თოთხმეტს იანვარს, მირიან საქართველოს მეფობის ჟამს, წმინდა ქალწულის ნინოსაგან ქრისტეს სარწმუნოების მიღებისათვის.

Ანდრია მოციქული პირველათ შემოვიდა სამცხე-საათაბაგოში და იწყო ქადაგება და მოიფინა კიდეც ქრისტეს სარწმუნოების სიყვარული სამცხე-საათაბაგოში, სომხეთში და ზემო-ქართლშიაც. ამავე დროდამ იწყო ნზადება საქართველოს ხალხმა, რომ მიეღოთ მათ ქრისტეს სარწმუნოება. მაგრამ შემდეგ კერპთაყვანის-მცემლებისაგან იქნა განდევნილი საქართველოდამ ანდრია მოციქული.

Ანდრია მოციქულის განდევნის შემდეგ, თუმცა მოფენილი იყო საკმარისათ სამცხეში, სომხეთში და ქართლში ქრისტეს სარწმუნოების სიყვარული; მაგრამ მისმა განდევნამ ისეთი გავლენა იქონია საქართველოს ხალხზედ, რომ სწრაფლათ შეიმუსრა ქრისტეს სარწმუნოების სწავლა და მოისპო ყოველივე მცნებანი.

რა არ გამოსცადა მაშინ საქართველოს ხალხმა? მთავარნი და მეფენი კერპთ-თაყვანის-მცემლები იყვნენ; რამდენი ტანჯვა და ვაება, რამდენ ცოცხალ ფერპთა შეწირვა! მაგრამ ბოლოს მათს ღონჯვასა და უპედურებას ბოლო მოეღო, როდესაც მოვიდა წმინდა დედა განმანათლებელი ქალწული ნინა, რომლის სახელიც შემდეგ ძველმა საქართველოს ხალხმა ადიდა.

ნინომ მთელი თავის სიცოცხლე საქართველოს ხალხის წარმატებისთვისა და განათლებისათვის შეწირა და მოჰფინა ქრისტეს საუწმუნოების სიყვარული-მთელს ამიერ-იმიერ საქანთველოს მხარეებში და ბოლოს მიაღწია ქახეთს, დაიწყო ქადაგება ქიზიყში სადაც, როგორც ისტორია და ხალხის გადმოცემა მოგვითხრობს, გარდაიცვალა კიდეც და იქმნა დასაფლავებული სოფელს ბოდბეს; აქ შემდეგ ერთი ქართველთა მეფის ბძარნებით აშენდა დედათა მონასტერი.

ეი ამ დღის შემდეგ შეიცვალა საქართველოს ხალხის ბედი და იღბალი, გამობრწყინდა მისთვის მანათობელი სხივ-მომფინე ვარსკვლავი და მოისპო კერპთ-თაყვანის-ცემა.

წმინდა ნინოს ქადაგებით საქართველოს ხალხმა, მეფე მირიანის და მის სნეულ მეუღლის მაგალითით მოინათლა საქართველოს სატახტო ქალაქს მცხეთას.

„და ვითარცა დაასრულა ლოცვა ესე წმინდამან ნინომ, მყის წამის ყოფითა საღმოთოთა აღდგეს დასავლით ქარნი და ჰაერნი ღრუბელთა თანა ხილვით, საშინელითა ხმითა ზარისა ახსაზდელისა ქუხილისათა და მოჰპერა ნიავმან მზისა დასავლისამან სუნი ჯერ კვალი სიმუარისა და ხილვად; რომელი ესე იხილეს რა სიმრავლემან ერისამან, მსწრაფლ იწყეს სირბილად და შელოტვლა ქალაქთა და სოფელთა თვისთა. ვითარ განიბინეს ყოველნი იგინი, მეყვსეულად მოიწია რისხვა იგი ღრუბელი მწარედ სასტიკი და მოიღო სეტყვა სწორი ქვისა ორთა მიერ ხელთა მძლეთ ადგილსა მასა საყოფელსა კერპთა და შემუსვრა დანვლილნი იგინი და დარღვივნა ზღუდენი იგი ქარისა მიერ სასტიკისა, შთაბნიეს იგინი; კლდეთა ნაარალთა მათა შინა წმინდა ნინო ეგო უენებლათ დაცული ადგილსა მასა.“

ეი ასე აღვიწერს ჩვენი ისტორიკოსი მეფისა ძე თეიმურაზი იმ შემთხვევასა, როდესაც მეფე მირიანი განეზადა თავის მხედრობით წასასვლელათ კერპთთან და თაყვანის-საცემათა, რომელთ რიცხვშიაც ერია პირველათ იმ დღეს საქართველოში შემოსული ქალწული ნინო.

ამ საუკუნის დასაწყისამდინ, ვიდრე ბიორგი მეფე სარწმუნოებისათვის და თვისი მამულისთვის დატანჯულს ქრისტეს-მოყვარე ერს ჩაბარებდა რუსეთსა, ამ დღეს ქართველი ხალხი დიდის მოწიწებით დღესასწაულობდა.

ძველად ამ დღეს უეჭველათ უნდა შეყრილიყვნენ ყველა სამღვდელო პირნი, მღვდელ-მთავარნი, ეპისკოპოზნი, არხიმანდრიტნი და კათალიკოზნი და ყველას უნდა თავ-თავის ალაგას ექადაგნათ წმინდა ნინოზე და ეღაღადნათ დიდის მოწიწებით ასე, რომ ძველს დროში ქართველი კაცი თურმე ამ დღეს ცულსაც არ აიღებდა ხელშიაო, როგორც ანდაზაც არის: „წმინდა ნინოს დღესაო, ცულს არ ავიღებ ხელსაო“.

მაგრამ ახლა უყურებთ, რომ ხალხის დღესასწაული კი არა და კალენდრებშიაც კი აღარა სწერენ ამ დღესა, რომ უქმე არისო...

Ზ. მთაწმინდელი

# ნარევი

შარშანდელი წლის განმავლობაში პარიჟში გამოდიოდა 836 სხვა-და-სხვა გაზეთი (შარშანწინ გამოდიოდა 754); ამ რიცხვიდამ 51 ყოველ-დღიური გაზეთია, 14 კვირის; 49 სამღვთო მეტყველობას შეეხება, 66 იურიდიული, 85 სამეურნეო, 74 მოთხრობებისა და რომანების, 68 მოდის, 250-მდინ სამეცნიერო და სხვ.

ყველაზე უფრო ძვირი გაზეთი არის „L' Art“ (ხელოვნება), რომელიც წელიწადში 120 ფრანკად (40 მანეთად ღირს); ყველაზე უფრო იაფი „La bonne pensèe“ (ტკბილი ჰაზრი), რომელიც წელიწადში 60 სანტიმად (ერთ აბაზათ) ღირს.

*
* *

1877 წლის განმავლობაში ინგლისში სულ 6,000 ახალი წიგნი დაიბეჭდა და გამოვიდა საქვეყნოთ. ყველაზე უფრო მომეტებული სამღვთო წერილის შესახები წიგნები გამოვიდა და შემდეგ რომანები და მოთხრობები.

*
* *

ყველაზე უფრო მომეტებული ხელის-მომწერლები ინგლისში ამჟამად გაზეთს „Daily Telegraph“-ს ყავს. 1876 წელს ამ გაზეთს ორასოც-და-სამი ათასი ხელია-მომწერი ჰყავდა და წელს კი ორას-სამოცი ათასი ჰყავს.

*
* *

ინგლისურ გაზეთს „Times,“ რომელიც დედამიწის ყველა გაზეთებზე უფრო დიდ და მდიდარ გაზეთად ითვლება, მუდამ დღე ორი ათას მანეთამდინ აქვს შემოსავალი მარტო განცხადებებისაგან, რომელნიც ყოველ დღეს 400-მდე იბეჭდება ამ გაზეთში.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

Ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

Ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი �ანოვი.

Ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ. 12 მდინ—დოქტორი Ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი Შაკოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: რემერტის, Ალბანუსის და Ореანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკ-ოთახებში კი დღეში—1 მან.

## ახალი ტაქსა გირჭის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და ლკან ½ | | |
| საათი გაჩერება 1 მან. | 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ.—2 „ | — „ | 1 მან. 50 „ |
| —დამოკნამდინ— 1 „ | 50 „ | 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან 1 „ | — „ | — „ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ.— „ | 80 „ | — „ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ 1 „ | 50 „ | 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და | | |
| უკან — — | —1 „ 30 „ | — „ 90 „ |

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

## განცხადებანი

რასპორიადიტელნი კომიტეტი საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვთ ბილისის საქალო ბიბლიოთეკისა და პროგიმნაზიის ლარიბ მოსწავლე მზრუნველობა, უმორჩილესად სთხოვს ამ საზოგადოების წევრთა, რომ დროით შემოიტანონ მომავალის 1878 წლის ხვედრი ფული, როგორათაც ამას საზოგადოების უსტავის მეოთხე პარაგრაფი მოითხოვს. ფული უნდა ჩაჰბარდეს საზოგადოების კაზნაჩეის, ვახტანგ დიმიტრის ძეს ოულაშვილს, თბილისის ოკრუჟნი სუდში, დილის 10-ს სათიდამ ნაშუადღევის 2-ს სათამდე.

მიეცემა

## სასეხლეგელი ფული

იმ პირობით რომ მოვალემ მუდამ კვირას ანუ თვეში გადაიხადოს ნაწილ-ნაწილად. უფრო დაწვრილებული პირობების შეტყობა ბულაკოვსკისთან-ბორონცოვის ხიდზე, ზუბალოვის სახლებში, ვარშავის ფეხსაცმლის მაღაზია, ში, მუდამ დღე დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

თფილისის

## სახელოსნო კლუბის

სტარშინების რჩევის გადაწყვეტილებით,

## საზოგადო კრება

ყველა წევრთა ხელ-ახლად დაინიშნა 18 იანვრისათვის, საღამოს 7 საათზე.

იყიდება
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ეშმაკის ხარო
მდაბიური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფასი ერთი შაური

ქუთაისში—ბალახვანში ისყიდება

## სამოსახლო ადგილები

ერთად და ცალკ-ცალკე.

უფრო დაწვრილებით შეტყობა შეიძლება ქუთაისში სვიმონ ივანეს ძეს მესხთან და თფილისში ელისაბედ ს. მარჯანოვთან (არსენალის ქუჩაზე, № 56), ბამაზოვის სახლები.

## გაკვეთილები

ფრანცუზულის ენისა. პრაქტიული და თეორიული სწავლა. გრამატიკა და ლაპარაკი ფრანცუზულს ენზაედ.

მსურველს შეუძლიან მიმართოს ქუთაისში, უფ. ზაქარია ქანდელაკის სადგომში.

ქართული სახალხო სიმღერები
შეგროვილი და გამოცემული
ზაქ. ჭიჭინაძისაგან.
წიგნი პირველი.
ფასი ყველგან ერთი შაური

ჩაის მაღაზია

## პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავანის პროსპექტზე, შიოლევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაიდანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი
რაჭდენ ბედინიძე

ვისაც ჰსურს თავის რქიანი საქონელი და ღორები მარგებელი საკვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში.

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ჭვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ჭვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, ფუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . | 3 | 75 |

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქუთაისს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 14 იანვარს. | | |
| ერთი ჩანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 263 სანტიმი. | — | 62 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 95 | [illegible] |
| მოგებიანი (პირველის ხ. | 232 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 229 | 5[illegible] |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| ფილ. საზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის . . | 83 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| ქავკაზის და მერკურის . . | 225 | — |
| პირვ. საზღვევ. საზ. ბ. | 745 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

### მაზანდა

| | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 16 იანვარს: | | |
| ფქვ: თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 2 | 15 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 80 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 45 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 8 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 80 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 12 | 60 |
| მატული თუშური ფუ. | 8 | — |
| —მარაქმისა ფუ. . | 4 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 1 | 90 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 90 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 15 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 9 | 20 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 8 | 60 |
| ულავ გრგვალი, ფუთი . | — | 75 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 14 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 8 | 20 |

Дозволено цензурою Тифлисъ, 17 Января 1878 г. Типографія Меликова. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.